საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030124649865717

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/43485 **03 / ივლისი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის N182 დადგენილების შესაბამისად, „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლების“ პროგრამის (პროგრამული კოდი- 35 05 04) ფარგლებში სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო მოთხოვნადი პროფესიებისა და ვაკანტური სამუშაო ადგილების არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს სამუშაოს მაძიებლების რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების (სტაჟირების) ორგანიზებას და სახელმწიფო სტიპენდიის გაცემას.

ვინაიდან, აღნიშნული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან, საჭიროა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება“ (პროგრამული კოდი- 35 05 04) პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გაზრდა, ამავე პროგრამისათვის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნოე ქინქლაძე